

ანდერძის გამოუქვეყნებლობით გამოწვეული საანდერძო დანაკისრის
შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები
მარიამ გინტური, სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი,
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2024.10.01.02>

აბსტრაქტი

ანდერძი, რომლის გამოქვეყნება სავალდებულო კრიტერიუმია მისთვის იურიდიული ძალის მისანიჭებლად, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მემკვიდრის მხრიდან ნოტარიუსისათვის მიუმართავობის შემთხვევაში. იმის გათვალისწინებით, რომ ანდერძი შეიძლება იქნეს დაწერილი კანონით მემკვიდრეთა წრეში არმყოფ პირზე, რომელმაც არ იცის რომ მას მემკვიდრეობით წილად ერგო გარკვეული ქონება, მან შეიძლება ვერც გაიგოს ამ ანდერძის არსებობის შესახებ. ასევე, შესაძლებელია, რომ მშობლებმა სიცოცხლეში ანდერძით განსაზღვრონ მათი შვილისათვის შესაბამისი მეურვე, თუმცა, იმის გამო, რომ მატერიალური ქონება მათ არ დაუტოვებიათ და ნოტარიუსისთვისაც არავის მიუმართავს, სამკვიდროს მიღების მოთხოვნით, მშობლების ამგვარი ნება აღუსრულებელი დარჩეს. ასეთ შემთხვევაში თუ დროულად არ მოხდა ანდერძის გამოქვეყნება, ილახება ბავშვის უპირატესი უფლება, მიიღოს მეურვეობა იმ პირთაგან, რომელიც განსაზღვრეს სიცოცხლეშივე მისმა მშობლებმა. ცალსახაა, რომ მშობლის ნება ამ შემთხვევაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან მათ უკეთ იციან ვის ანდონ მათი არასრულწლოვანი შვილის მეურვეობის საკითხი, მოაწესრიგონ აღნიშნული წერილობითი გამოხატული ფორმით და ჰქონდეთ იმის იმედი, აღსრულდეს მათი უკანასკნელი ნება. ქართული კანონმდებლობის გათვალისწინებით, დიდია რისკი, ანდერძის გამოუქვეყნებლობის შემთხვევაში მოხდეს მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების უგუვებელყოფა და საანდერძო დანაკისრის შეუსრულებლობა.

აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, აუცილებელია კოორდინირებული მუშაობა შესაბამისი ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის. აღნიშნულ ნაშრომში განხილული იქნება პრობლემის გადაჭრის გზები და რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება

მაქსიმალურად ეფექტურად მოხდეს ანდერძის გამოუქვეყნებლობით გამოწვეული ზიანის თავიდან აცილება. ის ფაქტი, რომ არაა სავალდებულო ანდერძის გამოქვეყნება, ამით მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების ხელყოფა ხდება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებას, ასევე, იმ ყველაზე მოწყვლადი სუბიექტების უფლების დაუცველობას, როგორც მათი არასრულწლოვანი შვილები არიან.

საკვანძო სიტყვები: ანდერძი, ანდერძის გამოუქვეყნებლობა, საანდერძო დანაკისრი.

Legal Consequences of Non-Execution of Testamentary Obligations Caused by Non-Publication of a Will

Maryam Ginturi, Doctoral Student of the Law Doctoral Program,

David Aghmashenebeli University of Georgia

Abstract

A will, for which publication is a mandatory criterion to grant it legal force, may be called into question if the heir does not apply to a notary. Given that a will can designate a beneficiary who is not a legal heir- and who may be unaware of inheriting any property - there is a risk that they may not even know the will exists. Additionally, the parents can also appoint a suitable guardian for their child during their lifetime, but due to the fact that they have not left any tangible property and no one has applied to the notary to receive the inheritance, such will of the parents remains unenforceable. In such a case, if the will is not published in time, the best interest of the child to receive custody from the persons designated by his parents during his lifetime is violated. The parents' will is crucial in such cases, as they are best positioned to decide who should be entrusted with the custody of their minor child. They document their wishes in writing, hoping their last will is honored. However, under Georgian law, there is a significant risk that, if the will is not published, the parents' final wishes may be disregarded, and the testamentary burden may remain unfulfilled.

To solve this problem, coordination of work between the relevant administrative authorities is necessary. This paper will explore solutions and recommendations for minimizing the potential harm caused by the non-publication of wills. The lack of a mandatory publication requirement undermines the final wishes of the testator, which is directly related to the right to property and

inheritance, as well as the insecurity of the rights of the most vulnerable subjects, such as their minor children.

Key words: Will; Non-publication of the will; Testamentary burden.

შესავალი

ანდერძი, რომელიც მამკვიდრებლის უკანასკნელ დეკლარირებულ ნებას წარმოადგენს, უმნიშვნელოვანესია მისი შედგენის, შენახვისა და გამოქვეყნების წესების ზედმიწევნით დაცვა. ანდერძის ფორმალური შედგენის პირობების დარღვევამ შეიძლება მთლიანად მისი გაუქმება გამოიწვიოს. ანდერძის შენახვის პირობების დაუცველობამ, თუ ეს ანდერძი შინაურულია ან/და ნოტარიუსთან არ ინახება, დაკარგვის საშიშროებისა და უკანასკნელი ნების განუცხადებლობის რისკის ქვეშ დგება.[1] რაც შეეხება ანდერძის გამოქვეყნების წესების დარღვევას, მას შეიძლება შეეწიროს მამკვიდრებლის საანდერძო დანაკისრის შეუსრულებლობა და ამით უდიდესი ზიანის მიყენება იმ პირებისთვის, ვის სასარგებლოდაც უნდა შესრულებულიყო აღნიშნული დანაკისრი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1281-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით,[2] მეურვე ან მზრუნველი შეიძლება დანიშნულ იქნეს გარდაცვლილი მშობლების მითითებისამებრ ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტის (ანდერძის) საფუძველზე. აგრეთვე, 1286-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ [3] ქვეპუნქტის მიხედვით, ქონების მეურვედ შეიძლება იქნეს დანიშნული მამკვიდრებლის მიერ ნებისმიერი რომელიმე პირი, გარდა მშობლებისა, რომელიც უნდა გახდეს ქონების მეურვე. ამ ჩანაწერების გადააზრების შემდეგ, ჩნდება ლოგიკური აზრი, რომ თუ ანდერძი არ გამოქვეყნდა, პირველ შემთხვევაში, არასრულწლოვანი შესაძლებელია დარჩეს სანდრო მეურვისა და მზრუნველის გარეშე, რადგან ვერ გაცხადდება მამკვიდრებლის უკანასკნელი ნება და ის სურვილი, რომ მისი არასრულწლოვანი შვილის ბედის მიახლოს მისთვის ყველაზე საიმედო ადამიანს. მეორე შემთხვევაში კი,

ბავშვის ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება დაინიშნოს ქონების მეურვედ მშობლის გარდა ნებისმიერი პირი, თუ ამას მოითხოვს მამკვიდრებელი. ანდერძის გამოუქვეყნებლობის დროს კი, აღნიშნულ პირზე მითითება იკარგება და ამ შემთხვევაშიც მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების შეუსრულებლობასთან მივდივართ, როცა მას, მშობლის გარდა სურს, მის მიერ მოხსენიებული ნებისმიერი მესამე პირი მეურვედ დაინიშნოს. ასეთ შემთხვევაში, თუ დროულად არ მოხდა ანდერძის გამოქვეყნება, ილახება ბავშვის უპირატესი ინტერესი, მიიღოს მეურვეობა იმ პირთაგან, რომელიც განსაზღვრეს სიცოცხლეშივე მისმა მშობლებმა.[4]

რადგან ანდერძის გამოქვეყნება არაა სავალდებულო ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და მისი აღსრულება დგას მემკვიდრის ნებაზე, შეიტანოს განცხადება სანოტარო ბიუროში მისი გამოქვეყნების შესახებ, ზემოთხსენებული საკითხები დგება დიდი საფრთხის ქვეშ. თუ მამკვიდრებელს არ გააჩნია ქონება და მხოლოდ საანდერძო დანაკისრის დატოვება სურს, ან თუ მემკვიდრეს არ აქვს ინფორმაცია ანდერძის არსებობის შესახებ და არ მიმართავს ნოტარიუსს, ამ და სხვა დანარჩენ შემთხვევებში მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების შეუსრულებლობის საფრთხე დგას და ანდერძის გამოუქვეყნებლობა იწვევს არასრულწლოვნის კანონიერი ინტერესის დარღვევას.[5]

თავი I. ანდერძის გამოქვეყნება და მისი მნიშვნელობა

ანდერძი არის ცალმხრივი ვადიანი გარიგება, რომელიც მოქმედებს სამკვიდროს გახსნამდე და სამკვიდროს მიღების უპირატესობას აკუთვნებს პირს, რომელიც არ შედის კანონით მემკვიდრეთა წრეში.[6] მემკვიდრეთა თავისუფალი არჩევანის პრინციპიდან გამომდინარე, ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე მის გარეთ. მოანდერძის გარდაცვალების მოწმობის წარდგენის შემდეგ, ნოტარიუსი ვალდებულია დაინიშნოს ანდერძის გამოქვეყნების დღე და მოიწვიოს დაინტერესებული პირები. ანდერძი წაკითხულ უნდა იქნეს მოწვეული პირების თანდასწრებით. იმ შემთხვევაში, თუ ანდერძი დალუქულია, კონვერტი უნდა გაიხსნას მოწვეული პირების თანდასწრებით. [7]ნოტარიუსი ვალდებულია ანდერძის გამოქვეყნების შესახებ შეადგინოს ოქმი

საჯარო აქტის ფორმით, რომელშიც ინსტრუქციით დადგენილი სავალდებულო რეკვიზიტების გარდა, უნდა მიეთითოს მოწვეული და დამსწრე პირების ვინაობა და იდენტიფიკაციის სხვა მონაცემები, ინფორმაცია კონვერტისა და ლუქის მთლიანობის შესახებ, ანდერძის შესახებ ინფორმაცია (მოანდერძის ვინაობა, ანდერძის შედგენის თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი, ანდერძის შინაარსი. ანდერძის შინაარსის მითითება არ არის საჭირო, თუ ოქმს თან დაერთვის კონვერტში მოთავსებული ანდერძის დამოწმებული ფოტოასლი. ოქმს ხელი უნდა მოაწერონ დამსწრე პირებმა და ნოტარიუსმა. ოქმის დამოწმებული ასლის მიღების უფლება აქვს ყველა უფლებამოსილ პირს. ანდერძი, რომელიც გამოქვეყნდა, უნდა დარჩეს ნოტარიუსთან, რომელთანაც იგი ინახებოდა, ხოლო ანდერძისმიერ მემკვიდრეს, ან სხვა უფლებამოსილ პირს უნდა მიეცეს ანდერძის დამოწმებული ასლი.

საქართველოს კანონმდებლობა ანდერძის წერილობით ფორმას ადგენს და თანაბარ იურიდიულ ძალას ანიჭებს, როგორც შინაურულ, ისე სანოტარო ფორმით შედგენილ ანდერძს. თუმცა, თუ სამკვიდრო მოწმობა უნდა გაიცეს შინაურული ანდერძის საფუძველზე, ნოტარიუსი ვალდებულია მოსთხოვოს მხარეს ექსპერტის დასკვნა ხელნაწერის გარდაცვლილისადმი კუთვნილების შესახებ. ამასთან, სამოქალაქო კოდექსით დადგენილია სანოტარო ანდერძის უპირატესობა: თუ ერთმა პირმა რამდენიმე ანდერძი შეადგინა, რომელთაგან ერთ-ერთი შედგენილია სანოტარო ფორმით, დანარჩენი კი – არა, უპირატესობა სანოტარო ფორმით შედგენილ ანდერძს ენიჭება. ამასთან, კანონმდებლობით გათვალისწინებულია სანოტარო ანდერძის მოშლის განსაკუთრებული წესი: სანოტარო ანდერძი არ შეიძლება მოიშალოს სხვა ფორმის ანდერძით.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პროცედურული საკითხის წარმატებით დასრულების შემდეგ ხდება ანდერძის გამოქვეყნება და მისი ძალაში შესვლა. რაიმე კრიტერიუმის არარსებობის გამო, აღნიშნულ პროცესს თუ ხელი შეეშალა და ანდერძი ან არაკანონიერად, ან შეუსაბამოდ გამოქვეყნებულად ჩაითვალა, ეჭვქვეშ დადგება მამკვიდრებლის უკანასკნელი დეკლარირებული ნების განხორციელება.[8] ამიტომ, უმნიშვნელოვანესია, მამკვიდრებელმაც და მემკვიდრემაც, რომელიც აპირებს ანდერძის გამოქვეყნებას, გაიაროს შესაბამის კვალიფიციურ კადრებთან რეკომენდაცია და სწორედ ამის შემდეგ მოახდინონ პროცესის დაწყება.

თავი II. ანდერძის გამოქვეყნების არასავალდებულოობა და მისი პოტენციური შედეგები.

ქართულ კანონმდებლობაში არ არის დადგენილი ანდერძის სავალდებულოდ გამოქვეყნების წესი, რაც რიგ შემთხვევებში ქმნის სამოქალაქო კოდექსის 1281-ე მუხლის მე-4 ნაწილისა [9] და 1286-ე მუხლის პირველი ნაწილის [10] აღსრულების პრობლემას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1281-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მეურვე ან მზრუნველი შეიძლება დანიშნულ იქნეს გარდაცვლილი მშობლების მითითებისამებრ ნოტარიალურად დამოწმებული დოკუმენტის (ანდერძის) საფუძველზე. ხოლო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1286-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, არასრულწლოვნის ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება დანიშნოს ქონების მეურვე, თუ ამას მოითხოვს მამკვიდრებელი, რომელიც ქონებას ბავშვს გადასცემს და დაასახელებს რომელიმე პირს, გარდა მშობლებისა, რომელიც უნდა გახდეს ქონების მეურვე. აგრეთვე, სამოქალაქო კოდექსის 1383-ე მუხლი ადგენს [11] საანდერძო დანაკისრის ცნებას, რის მიხედვითაც მოანდერძეს შეუძლია დააკისროს მემკვიდრეს ერთი ან რამდენიმე პირის სასარგებლოდ რაიმე ვალდებულების შესრულება სამკვიდროს ხარჯზე (საანდერძო დანაკისრი – ლეგატი). ხოლო სამოქალაქო კოდექსის სამემკვიდრეო ნაწილის მე-9 თავი ადგენს ანდერძის აღსრულების წესებს. სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლების აღსრულების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ სანოტარო ინსტრუქციის მე-8 [12] თავი ადგენს ანდერძის შედგენის, შენახვისა და გამოქვეყნების წესებს, რომელთა შესაბამისად ანდერძის გამოქვეყნება შესაძლებელია მოხდეს დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე. მოანდერძის გარდაცვალების მოწმობის წარდგენის შემდეგ, ნოტარიუსი ვალდებულია დანიშნოს ანდერძის გამოქვეყნების დღე და მოიწვიოს დაინტერესებული პირები. შესაბამისად, ანდერძის გამოქვეყნება დამოკიდებულია გარდაცვლილის მემკვიდრეებზე, მიმართავენ თუ არა ისინი ნოტარიუსს. იმ შემთხვევაში, თუ ანდერძი დაწერილია კანონით მემკვიდრეთა წრეში არ მყოფ პირზე, რომელმაც არ იცის რომ მას მემკვიდრეობით წილად ერგო გარკვეული ქონება, მან შეიძლება ვერც გაიგოს ამ ანდერძის არსებობის შესახებ. აგრეთვე, შესაძლებელია რომ მშობლებმა სიცოცხლეში ანდერძით განსაზღვრონ მათი

შვილისათვის შესაბამისი მეურვე, თუმცა იმის გამო რომ მატერიალური ქონება მათ არ დაუტოვებიათ და ნოტარიუსისთვისაც არავის მიუმართავს სამკვიდროს მიღების მოთხოვნით, მშობლების ამგვარი ნება აღუსრულებელი დარჩეს. ასეთ შემთხვევაში თუ დროულად არ მოხდა ანდერძის გამოქვეყნება, ილახება ბავშვის უპირატესი ინტერესი, მიიღოს მეურვეობა იმ პირთაგან, რომელიც განსაზღვრეს სიცოცხლეში მისმა მშობლებმა.[13] სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული ნორმების აღსრულება, პროცედურული მექანიზმის არ არსებობის გამო შეფერხებულია. სამოქალაქო კოდექსი კი ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად და სრულად განმარტოს საანდერძო დანაკისრის ცნება, მიზნობრიობა და მაქსიმალურად დაიცვას მამკვიდრებლის ნება, თუმცა მინისტრის ბრძანების საფუძველზე, რომელიც არეგულირებს საანოტარო მოქმედებათა წესს, ისეთ პროცედურულ საკითხებს მოითხოვს, რომ იკარგება რეალური კანონმდებლის ნება. მხოლოდ გარდაცვალების მოწმობის წარდგენის შემდეგ არის შესაძლებელი სამემკვიდრეო საქმისწარმოების დაწყება, როცა ანდერძისმიერ მემკვიდრეობაზეა საუბარი. ისიც ცნობილია, რომ მხოლოდ ნოტარიუსი გასცემს სამკვიდრო მოწმობას და აღნიშნული მისი ექსკლუზიური უფლებამოსულებაა. შესაბამისად, მხოლოდ ნოტარიუსთან გარდაცვალების მოწმობის წარდგენით არის შესაძლებელი აღნიშნული პროცესის დაწყების შესაძლებლობა და ამიტომ, სავალდებულო წესით ყველა დაინტერესებული პირი ემორჩილება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციასა და „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონს. თუკი, მემკვიდრეს არ აქვს ინფორმაცია საანდერძო დანაკისრის შესახებ, ის არც ნოტარიუსს მიმართავს და არც კანონმდებლობის შესაბამისად იქნება ანდერძის გამოქვეყნება სავალდებულო, ამიტომ აუცილებელია კონკრეტული ზომების მიღება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მემკვიდრეობის უფლების შელახვა და მამკვიდრებლის საბოლოო ნების უყურადღებოდ დატოვება.

თავი III. დასკვნა

რადგან ანდერძის გამოქვეყნება უმნიშვნელოვანესია მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების გასაცხადებლად, ასევე, რადგან აღნიშნულ პროცესს სავალდებულო საკანონმდებლო ნება არ ახასიათებს, ამიტომ საანდერძო საქმისწარმოების დროს

მონაწილე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა გაცვალონ ერთმანეთში ინფორმაცია პირის გარდაცვალების შემთხვევაში, მემკვიდრის მხრიდან სამკვიდროს დროული მიღების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმართონ მას, მიაწოდონ ინფორმაცია ანდერძის არსებობაზე და დაეხმარონ მაქსიმალურად ეფექტურად და დროულად მოახდინონ კონსტიტუციით დაცული უფლების რეალიზაცია. ამისათვის საჭიროა, რომ საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ, სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტომ და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ იმუშაონ კოორდინირებულად და მიაწოდონ ინფორმაცია ერთმანეთს. იქიდან გამომდინარე, რომ ნოტარიუსთა პალატას მიუწვდება ხელი ერთიან ელექტრონულ რეესტრზე, სადაც რეგისტრირებულია ყველა სამკვიდრო მოწმობა, თუ მას მიუვა ინფორმაცია პირის გარდაცვალების შემთხვევაზე, როგორც სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს, მას ექნება შესაძლებლობა, გადაამოწმოს არის თუ არა აღნიშნული პირის მიერ დატოვებული ანდერძი სახეზე. ანდერძის არსებობის შემთხვევაში სამოქალაქო რეესტრი გარდაცვალების მოწმობის გაცემისას გადასცემს პოტენციურ მემკვიდრეს ინფორმაციას, რომ გარდაცვლილის მიერ დატოვებულია ანდერძი და რომ მათ უნდა მიმართონ ნოტარიუსს. ნოტარიუსი თავის მხრივ, მოახდენს ზემოთხსენებული პროცესების კანონიერ უზრუნველყოფას და გაიხსნება ანდერძი. ანდერძის გამოქვეყნების შემდეგ, გაცივმა სამკვიდრო მოწმობა და მამკვიდრებლის უკანასკნელი წერილობითი ნებაც აღსრულებული იქნება. ამით მაქსიმალურად იქნება დაცული ყველა პირი, რომელიც ფიქრობს დატოვოს ანდერძი და ეჭვი ეპარება მის აღსრულებაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზემოთხსენებული მუხლების დანაწესების შესაბამისად, რადგან დიდი რისკია მამკვიდრებლის უკანასკნელის ნების განუცხადებლობისა და საანდერძო დანაკისრის გაუჩინარებისა, უმჯობესია პრაქტიკაზე დაფუძნებული ურთიერთთანამშრომლობითი კონსულტაციები შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებში, რათა სწრაფად და ეფექტურად აღმოიფხვრას ეს ხარვეზი. აგრეთვე, შესაძლებელია საკანონმდებლო ცვლილება, როგორც, მაგალითად, საბერძნეთის სამემკვიდრეო სამართლის მიხედვით ხდება [14], სამოქალაქო კოდექსის 1865 მუხლის თანახმად, („succession vacante“ „ვაკანტური სამკვიდრო“), თუკი მემკვიდრე უცნობია ან დაუდგენელია მიიღებს თუ არა ის მემკვიდრეობას, მემკვიდრეობის სასამართლო, ნებისმიერი კანონიერი ან სახაზინო

ინტერესის მქონე პირის მოთხოვნის საფუძველზე ნიშნავს სამკვიდრო კურატორს. კურატორი უზრუნველყოფს მემკვიდრის მოძიებასა და მისთვის ინფორმაციის მიწოდებას. ამ ინსტიტუტის არსებობის გამო, რისკი ძალიან დაბალია რომ მემკვიდრემ ვერ გაიგოს ანდერძის არსებობის შესახებ. შესაბამისად, ანდერძის გამოუქვეყნებლობის რისკის მინიმალურამდე დადის.

ასე რომ, ანდერძის გამოუქვეყნებლობით გამოწვეული საანდერძო დანაკისრის შეუსრულებლობა იმდენად დიდ პრობლემებსა და რისკებს ქმნის, აუცილებელია მისი სავალდებულო წესით გამოქვეყნება ან საკანონმდებლო ცვლილების ხარჯზე, ან ადმინისტრაციული ორგანოების კოორდინირებული მუშაობისა და ურთიერთდახმარების ხარჯზე.

ბიბლიოგრაფია

- 1.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე #ას-219-545-09)
- 2.1281-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997. # 786.
- 3.1286-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997. # 786.
- 4.Palandt, 2014.Bürgerliches Gesetzbuch. 73 Auflage.
- 5.ხარიტონაშვილი, ნ., 2021. სანოტარო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, გვ. 223.
- 6.ჭანტურია, ლ., 2009. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები. წიგნი მეხუთე. თბილისი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil_code_comm_I_Book.pdf [წვდომის თარიღი 27.10.2024].
- 7.მუხლი 15, საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ. სსმ, 22/12/2009. # 2283.
- 8.Welti Felix,2004. Rechtliche aspekte von Generationengerechtigkeit. Kritische Justiz.
9. 1281--ე მუხლი. საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997. # 786.

10. 1286-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997. # 786.

11. საქართველოს მინისტრის ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, სსმ, 31/03/2010. # 71.

12. ჩიკვაშვილი, ს., 2004. საოჯახო სამართალი. მეოთხე გამამუშავებული გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 452.

13. საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/electronuli biblioteka/saberdznetis memk vidreoba.pdf](https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/electronuli_biblioteka/saberdznetis_memk_vidreoba.pdf)> [წვდომის თარიღი 27.10.2024].